კვლევითი
ინსტიტუტი
Gnomon Wise

კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა

მარტი 2024

კვლევითი ინსტიტუტი - Gnomon Wise



წინასწარი მონაცემებით, 2023 წელს კავკასიის ეკონომიკის ზრდა 4.4%-ია. 2022 წელს კავკასიის ეკონომიკური ზრდა 7.8%-ს აღწევდა. გასულ წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება რუსეთიდან ადამიანური და ფინანსური კაპიტალის ნაკადების შემცირებასა და წინა წელთან შედარებით, ნავთობის დაბალ ფასებს უკავშირდება. მიმდინარე წლის იანვარში ზრდამ 6.2% შეადგინა.

- წინასწარი მონაცემებით, გასული წელს საქართველოს ეკონომიკა 7%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის იანვარში ეკონომიკის ზრდამ 5.8% შეადგინა. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი საფინანსო, სამშენებლო, ინფორმაცია და ტელეკომუნიკაციების სექტორებმა შეიტანეს. კლების ტენდენცია დაფიქსირდა ვაჭრობა, მრეწველობა და უძრავი ქონების სექტორებში.

- კავკასიის რეგიონში ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით სომხეთი გამოირჩევა. გასულ წელს სომხეთის ეკონომიკა 9.4%-ით გაიზარდა. 2024 წლის იანვარში, წინა წლის იმავე თვესთან შედარებით, ეკონომიკა 10.7%-ით გაფართოვდა. სომხეთის ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებული წვლილი სავაჭრო სექტორს აქვს, რომელმაც ამ პერიოდში 19.3%-ით მოიმატა, ხოლო სამშენებლო დარგმა კი - 9.5% -ით.

- რეგიონში ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი აზერბაიჯანში დაფიქსირდა. 2023 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის ეკონომიკა 1.1%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის იანვარში ზრდამ 5% შეადგინა. აზერბაიჯანის ეკონომიკის 36.9% ნავთობისა და გაზის ინდუსტრიას უკავია. ამ ინდუსტრიის გარეშე, ზრდის ტემპმა 12.3% შეადგინა.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა



ინფლაციის მაჩვენებელი კავკასიის რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს იმეორებს. საუკეთესო მდგომარეობა სომხეთშია, ხოლო ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აზერბაიჯანში ფიქსირდება.

- საქართველოში 2023 წელს ინფლაციის ტემპი, წინა წელთან შედარებით, შემცირებული იყო. 2024 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 0.3% შეადგინა. თებერვლის ინფლაციაში მაღალი წვლილი ტრანსპორტის ფასებმა შეიტანა, რომელიც 4.8%- ით გაიზარდა. თუმცა, რიგ სექტორებში ფასების კლება დაფიქსირდა, მათ შორის, სურსათის ფასები ყველაზე მეტით, 3.5%-ით შემცირდა. ამ ფონზე, ცენტრალურმა ბანკმა ბოლო გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 9%-მდე შეამცირა.

- რეგიონში ყველაზე დაბალი დეფლაციით სომხეთი გამოირჩევა. მიმდინარე წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიური კლება 1.7% იყო. ყველაზე მაღალი, 7.5%- იანი ზრდა ალკოჰოლისა და თამბაქოს ჯგუფში დაფიქსირდა, ხოლო 7.4%-იანი კლება სურსათის ფასებზე. ეს კი სამომხმარებლო ფასების ძირითადი ნაწილია. სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება 2023 წელს დაიწყო. ბოლო გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 8.75%-მდე შემცირდა.

- აზერბაიჯანში ინფლაციის ტემპი, კლების მიუხედავად, შედარებით მაღალ ნიშნულზე რჩება. 2024 წლის თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 0.8% შეადგინა. იანვარში ინფლაცია 1.7% იყო. აზერბაიჯანი რეგიონში შედარებით მაღალი ინფლაციით წინა პერიოდებშიც გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის გამკაცრებისგან თავს იკავებდა. იანვარში მიღებული გადაწყვეტილებით პოლიტიკის განაკვეთი 7.75%-მდე შემცირდა.